

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EU) № 1072/2009 რეგლამენტი სატვირთო გადაზიდვების საერთაშორისო ბაზარზე დაშვების ზოგადი წესების შესახებ

(ახალი რედაქცია)

(წინამდენარე ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 71-ე მუხლის საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების საფუძველზე¹,

რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ,

მოქმედებენ რა შეთანხმების 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად²,

ვინაიდან,

- (1) უნდა განხორციელდეს რიგი არსებითი ცვლილებები ევროპული გაერთიანების ფარგლებში წევრი სახელმწიფოს ტერიტორიიდან ან ერთი ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე დაშვების შესახებ საბჭოს 1992 წლის 16 მარტის (EEC) №881/92 რეგლამენტში³ და წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტვირთის გადამზიდავი სახელმწიფო არარეზიდენტი პირების მიერ საქმიანობის შესახებ საბჭოს 1993 წლის 25 ოქტომბრის (EC) №3118/93 რეგლამენტში⁴, ასევე სატვირთო გადაზიდვებთან დაკავშირებული გარკვეული წესების შემუშავების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის 2006/94/EC დირექტივაში⁵. სიცხადისა და გამარტივების მიზნებისთვის, საჭიროა აღნიშნული მარეგულირებელი აქტების ხელახლა ჩამოყალიბება და საერთო რეგლამენტის სახით გაერთიანება.
- (2) საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის დანერგვა ასევე ითვალისწინებს ევროპული გაერთიანების ტერიტორიის ფარგლებში სატვირთო გადაზიდვების საერთაშორისო ბაზარზე დაშვების შესახებ საერთო წესების შემუშავებას, რომელთა საფუძველზეც

¹ ოფიციალური ჟურნალი C 204, 9.8.2008, გვ. 31.

² ევროპარლამენტის 2008 წლის 21 მაისის მოსაზრება (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში), საბჭოს 2009 წლის 9 იანვრის ერთობლივი პოზიცია (ოფიციალური ჟურნალი N C 62 E, 17.3.2009, გვ. 25), ევროპარლამენტის 2009 წლის 23 აპრილის პოზიცია (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2009 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება .

³ ოფიციალური ჟურნალი L 95, 9.4.1992, გვ. 1.

⁴ ოფიციალური ჟურნალი L 279, 12.11.1993, გვ. 1.

⁵ ოფიციალური ჟურნალი L 374, 27.12.2006, გვ. 5.

არარეზიდენტ გადაზიდვებს შეეძლება უზრუნველყონ სატრანსპორტო მომსახურების გაწევა წევრი სახელმწიფოს ფარგლებში.

აღნიშნული წესები წარმოდგენილი უნდა იქნას იმ სახით, რომ მოხდეს შიდა სატრანსპორტო ბაზრის შეუფერხებელი ოპერირების ხელშეწყობა.

- (3) ევროპული გაერთიანების ფარგლებში ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვის ჰარმონიზების უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე რეგლამენტი გამოყენებულ უნდა იქნას ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე ყოველ საერთაშორისო გადაზიდვასთან მიმართებაში. ტვირთის გადაზიდვა წევრი სახელმწიფოებიდან მესამე ქვეყნებში ჯერ კიდევ რეგულირდება წევრ სახელმწიფოებსა და აღნიშნულ მესამე ქვეყნებს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე რეგლამენტი არ გამოიყენება მარშრუტის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც გადის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში და წარმოადგენს ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილს, სანამ არ გაფორმდება აუცილებელი შეთანხმებები ევროპულ გაერთიანებასა და შესაბამის მესამე ქვეყნებს შორის. თუმცა წინამდებარე რეგლამენტი მოქმედებს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც იკვეთება ტრანზიტისას.
- (4) საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის დამკვიდრება გულისხმობს სატრანსპორტო მომსახურების გამწევი პირის მიმართ განსაზღვრული ყოველგვარი შეზღუდვის გაუქმებას ნებისმიერი ეთნიკური ნიშნით და სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნების ადგილთან დაკავშირებული დისკრიმინაციის გარეშე.
- (5) აღნიშნულის შეუფერხებლად და მოქნილად მიღწევის მიზნით, საჭიროა კიდევ უფრო გარდამავალი სახის კაბოტაჟური რეჟიმის უზრუნველყოფა, ვინაიდან სატვირთო გადაზიდვების ბაზრის ჰარმონიზება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.
- (6) ერთიანი ევროპული ბაზრის ეტაპობრივი სრულყოფა უზრუნველყოფს შეზღუდვების გაუქმებას წევრი სახელმწიფოების შიდა ბაზრებზე დაშვებასთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს უნდა ითვალისწინებდეს პროფესიით დასაქმების კონტროლის ეფექტურობასა და ევოლუციას, განხორციელების სფეროში წესებისა და საგზაო მომხმარებელთა სავასურების, სოციალური და უსაფრთხოების დაცვის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზებას. კომისიამ დეტალურად უნდა შეისწავლოს არსებული საბაზრო მდგომარეობა, ასევე ზემოაღნიშნული ჰარმონიზება და მისი მიზნები, შესაბამისობის შემთხვევაში, შიდა ავტოსატრანსპორტო ბაზრების შემდგომი გახსნის მიზნით, კაბოტაჟის ჩათვლით.
- (7) 2006/94/EC დირექტივის საფუძველზე, გადაზიდვების გარკვეული ოდენობის ტიპები თავისუფლდება ევროპული გაერთიანების ნებართვისა და გადაზიდვასთან დაკავშირებით სხვა სახის ნებართვების მიღების აუცილებლობისგან. წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული ბაზრის ორგანიზების ფარგლებში, ევროპული გაერთიანების ლიცენზიიდან და ნებისმიერი სხვა სახის ლიცენზიიდან გათავისუფლების სისტემა უნდა დაინერგოს გადაზიდვების აღნიშნულ ტიპებთან დაკავშირებით, მათი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე.
- (8) 2006/94/EC დირექტივის თანახმად, ტვირთის გადატანა 3,5 ტონა და 6 ტონა მაქსიმალური დატვირთვის წონის მქონე სატრანსპორტო საშუალებებით

თავისუფლდება ევროპული გაერთიანების ლიცენზიასთან დაკავშირებული მოთხოვნისგან. ევროპული გაერთიანების წესები სატვირთო გადაზიდვებთან დაკავშირებით ზოგადად გამოიყენება იმ სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, რომელთა მაქსიმალური დატვირთვის მასა აღემატება 3,5 ტონას. ამგვარად, წინამდებარე რეგლამენტის დებულებები უნდა შეესაბამებოდეს ტვირთის ავტოგადაზიდვების შესახებ ევროპული გაერთიანების წესების გამოყენების არეალს და უნდა იქნას წარმოდგენილი იმ სატრანსპორტო საშუალებების გათავისუფლების შემთხვევაში, რომელთა მაქსიმალური დატვირთვის მასა არ აღემატება 3,5 ტონას.

- (9) ტვირთის საერთაშორისო ავტოგადაზიდვის განხორციელების პირობას წარმოადგენს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ფლობა. გადამზიდავებს ყოველ სატრანსპორტო საშუალებაში თან უნდა ჰქონდეთ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დამოწმებული ასლი, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ეფექტური კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით იმ წევრი სახელმწიფოების ფარგლებს გარეთ, სადაც ისინი არიან დაფუძნებულნი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს კიდევ უფრო დეტალური სპეციფიკაცია ევროპული გაერთიანების ლიცენზიისა და მისი დამოწმებული ასლების პროექტსა და სხვა მახასიათებლებთან დაკავშირებით.
- (10) საგზაო შემოწმებები უნდა განხორციელდეს ტვირთის გადამზიდავი ოპერატორების ყოველგვარი ეთნიკური ნიშნით და დაფუძნების ადგილთან ან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ადგილთან დაკავშირებული პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის გარეშე.
- (11) უნდა განისაზღვროს ევროპული გაერთიანების ლიცენზიების გაცემისა და გამოთხოვის მარეგულირებელი პირობები და იმ გადაზიდვების ტიპები, რომლებთან დაკავშირებითაც ისინი გამოიყენება, მათი მოქმედების ვადა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალური წესები.
- (12) ასევე უნდა დაინერგოს მძღოლების ატესტაცია, რათა საშუალება მიეცეთ წევრ სახელმწიფოებს ეფექტურად შეამოწმონ არიან თუ არა მესამე ქვეყნიდან წარმოდგენილი მძღოლები აყვანილნი სამუშაოზე ყოველგვარი წესის დაცვით ან წარმოდგენილნი არიან თუ არა იმ გადამზიდავის განკარგულებაში, რომელიც პასუხს აგებს მოცემულ სატრანსპორტო ოპერაციაზე.
- (13) წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელ გადამყვანებსა და გარკვეული კატეგორიის საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურების შესრულების უფლებამოსილების მქონე გადამზიდავებს ეძლევათ ნებართვა განახორციელონ ტრანსპორტირება ეროვნულ დონეზე წევრი სახელმწიფოს ფარგლებში დროებით, წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად, ისე რომ არ ჰქონდეთ რეგისტრირებული ოფისი ან სხვა დაწესებულება მის ფარგლებში. აღნიშნული კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელება უნდა დარეგულირდეს ევროპული გაერთიანების კანონმდებლობით, კერძოდ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის (EU) №561/2006 რეგლამენტით, საგზაო ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით კონკრეტული სოციალური კანონმდებლობის

ჰარმონიზაციის შესახებ¹ და მასპინძელი წევრი სახელმწიფოების საქმიანობის აღნიშნული სახეობების მარეგულირებელ მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

- (14) საჭიროა სათანადო დებულებების დამტკიცება სატრანსპორტო ბაზარზე სერიოზული ზიანის მიყენების შემთხვევაში მისაღები ზომების სისრულეში მოყვანის ნებართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიზნით აუცილებელია სათანადო გადაწყვეტილების მიმღები პროცედურის დანერგვა და აუცილებელი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.
- (15) დაფუძნების უფლების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის გარეშე, კაბოტაჟური ოპერაციები გულისხმობს იმ წევრი სახელმწიფოს ფარგლებში გადამზიდვების მიერ მომსახურების გაწევას, სადაც ისინი არ არიან დაფუძნებულნი და არ უნდა იქნას აკრძალული, ვინაიდან ისინი არ ახორციელებენ იმ საქმიანობას, რაც დროებით ან უწყვეტ საქმიანობას წარმოადგენს აღნიშნულ წევრ ქვეყანაში. აღნიშნული მოთხოვნის სისრულეში მოყვანის მიზნით, კაბოტაჟური ოპერაციების სიხშირე და პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს მათი სისრულეში მოყვანა, კიდევ უფრო გარკვევით უნდა განისაზღვროს. წარსულში, აღნიშნული ეროვნული სატრანსპორტო მომსახურებები ნებადართული იყო დროებით საფუძველზე. პრაქტიკულად, ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ რომელი მომსახურება იყო ნებადართული. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიშვა გარკვეული და ადვილად განხორციელებადი წესების ჩამოყალიბების აუცილებლობა.
- (16) წინამდებარე დირექტივა არ არღვევს ტვირთის შემოსვლასა და გასვლასთან დაკავშირებულ დებულებებს, კომბინირებული სატრანსპორტო მარშრუტის სახით, რაც წარმოდგენილია წევრ სახელმწიფოებს შორის ტვირთის კომბინირებული გადაზიდვის გარკვეულ ტიპებთან დაკავშირებული საერთო წესების შესახებ საბჭოს 1992 წლის 7 დეკემბრის 92/106/EEC დირექტივაში². ეროვნული საგზაო რეისები მასპინძელი წევრი სახელმწიფოს ფარგლებში, რომლებიც არ წარმოადგენენ კომბინირებული გადაზიდვების ნაწილს, რაც წარმოდგენილია 92/106/EEC დირექტივაში, ემთხვევა კაბოტაჟური ოპერაციების განმარტებას და შესაბამისად ექვემდებარება წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს.
- (17) კაბოტაჟური მომსახურებების შემსრულებელ სატრანსპორტო საწარმოებზე ვრცელდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 1996 წლის 16 დეკემბრის 96/71/EC დირექტივით გათვალისწინებული დებულებები მომსახურების გაწევის სფეროში მუშაკების სამსახურში აყვანის შესახებ³.
- (18) კაბოტაჟური ოპერაციების ეფექტური კონტროლის მიზნით, მასპინძელი წევრი სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოები მინიმუმ უნდა სარგებლობდნენ წვდომით სატრანსპორტო ზედდებულებებში წარმოდგენილ მონაცემებსა და საკონტროლო მოწყობილობიდან მიღებულ მონაცემებთან, საგზაო

¹ ოფიციალური ჟურნალი L 102, 11.4.2006, გვ. 1.

² ოფიციალური ჟურნალი L 368, 17.12.1992, გვ. 38.

³ ოფიციალური ჟურნალი L 18, 21.1.1997, გვ. 1.

ტრანსპორტირების სფეროში საკონტროლო მოწყობილობის შესახებ ევროსაბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის (EEC) №3821/85 რეგლამენტის თანახმად.

- (19) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღმოუჩინონ ერთმანეთს დახმარება, წინამდებარე რეგლამენტის სათანადოდ განხორციელების მიზნით.
- (20) ადმინისტრაციული ფორმალობები შეძლებისდაგვარად უნდა იქნას დაყვანილ მინიმუმამდე, იმ კონტროლის საშუალებებსა და სანქციებზე უარის თქმის გარეშე, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე რეგლამენტის სათანადო გამოყენების და ეფექტური შესრულების გარანტიას. ამ მიზნით აუცილებელია გაუმჯობესდეს და განიმარტოს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გამოთხოვასთან დაკავშირებით მოქმედი წესები. უნდა მოხდეს ამჟამად მოქმედი წესების ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მასპინძელ წევრ სახელმწიფოში ჩადენილ სერიოზულ სამართალდარღვევაზე სანქციების ეფექტური გამოყენების საშუალება. სანქციები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და შეესაბამებოდეს სამართალდარღვევის სერიოზულობას. უნდა არსებობდეს ნებისმიერი სანქციის გასაჩივრების შესაძლებლობა.
- (21) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გადამზიდავების ყველა იმ სერიოზული სამართალდარღვევის სატრანსპორტო კომპანიათა სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში აღრიცხვა, რომელმაც გამოიწვია პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.
- (22) ეროვნულ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაუმჯობესების და მხარდაჭერის მიზნით, წევრი სახელმწიფოები უნდა აწვდიდნენ ერთმანეთს შესაბამის ინფორმაციას, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1071/2009 რეგლამენტის მიხედვით შექმნილი სახელმწიფო საკონტაქტო პუნქტების მეშვეობით, აღნიშნული რეგლამენტი განსაზღვრავს საერთო წესებს იმ პირობებთან მიმართებაში, რომელთა დაცვა აუცილებელია გადამზიდავი ოპერატორის სტატუსის მისაღებად¹.
- (23) წინამდებარე რეგლამენტის განხორციელების მიზნით, აუცილებელია სათანადო ზომების მიღება, კომისიისთვის დაკისრებული უფლებამოსილების შესრულების პროცედურების მარეგლამენტირებელი, საბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC გადაწყვეტილების თანახმად².
- (24) კერძოდ, კომისიას უფლებამოსილი უნდა იყოს მოახდინოს წინამდებარე რეგლამენტის I, II და III დანართების ადაპტირება ტექნიკურ პროგრესთან. ვინაიდან აღნიშნული ზომები ატარებს ზოგად ხასიათს და მიმართულია წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე ელემენტებში ცვლილებების განხორციელებაზე, აღნიშნული ზომები მიიღება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 1999/468/EC დირექტივის 5ა მუხლით განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის თანახმად.

¹ იხილეთ წინამდებარე ოფიციალური ჟურნალის 51-ე გვერდი.

² ოფიციალური ჟურნალი L 184, 17.7.1999, გვ. 23.

- (25) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები წინამდებარე რეგლამენტის განხორციელების მიზნით, კერძოდ პრევენციული, თანაზომიერი და ნაყოფიერი სანქციების გამოყენების მიზნით.
- (26) ვინაიდან წინამდებარე რეგლამენტის მიზანი, კერძოდ, ევროპული გაერთიანების ფარგლებში საერთაშორისო გადაზიდვების ჰარმონიზაცია ვერ იქნება სრულად მიღწეული წევრი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ შესაძლებელია მიღწეულ იქნას ევროპული გაერთიანების დონეზე, მისი მასშტაბურობის და ეფექტების გამო; ევროპულ გაერთიანებას შეუძლია მიმართოს შესაბამის ზომებს, შეთანხმების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ინიციატივის სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, როგორც ეს განმარტებულია წინამდებარე მუხლში, აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის, წინამდებარე რეგლამენტი არ სცილდება აუცილებელ ფარგლებს,

დაამტკიცეს წინამდებარე დირექტივა:

თავი I

ძირითადი დებულებები

მუხლი 1

მოქმედების არეალი

1. წინამდებარე რეგლამენტი გამოიყენება ევროპული გაერთიანების ფარგლებში ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვასთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ
2. წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და პირიქით ტვირთის გადაზიდვისას, წინამდებარე რეგლამენტი ვრცელდება მარშრუტის იმ ნაწილზე, რომელიც კვეთს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას ტრანზიტისას. მოცემული რეგლამენტი არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოს მარშრუტის იმ ნაწილზე, რომელიც წარმოადგენს ტვირთის ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის ადგილს, ვიდრე არ გაფორმდება შესაბამისი შეთანხმებები ევროპულ გაერთიანებასა და მესამე ქვეყანას შორის.
3. მე-2 პუნქტში მითითებული შეთანხმებების გაფორმებამდე, წინამდებარე რეგლამენტი არ ვრცელდება:
 - (ა) იმ დებულებებზე, რომელთა საფუძველზეც ხდება წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და პირიქით განხორციელებული გადაზიდვების რეგულირება და რომლებიც წარმოდგენილია წევრ სახელმწიფოებსა და აღნიშნულ მესამე ქვეყნებს შორის გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებში;
 - (ბ) იმ დებულებებზე, რომელთა საფუძველზეც ხდება წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და პირიქით განხორციელებული გადაზიდვების რეგულირება და რომლებიც წარმოდგენილია წევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებში, ასევე რომელთა საფუძველზეც ორმხრივი ნებართვა ან ვალდებულებისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული დებულებები

იმლევა წევრ სახელმწიფოში იმ გადამზიდავის მიერ ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვის ნებართვას, რომელიც არ არის დაფუძნებული აღნიშნულ სახელმწიფოში.

4. წინამდებარე რეგლამენტი ვრცელდება ტვირთის ეროვნულ გადაზიდვაზე, რომლის განხორციელება ხდება დროებით მომუშავე არარეზიდენტი გადამზიდავების მიერ, III თავის თანახმად.
5. გადაზიდვების შემდეგი ტიპები და აღნიშნულ გადაზიდვებთან დაკავშირებით განსაზღვრული დაუტვირთავი მარშრუტები არ საჭიროებს ევროპული გაერთიანების ლიცენზიას და თავისუფლდება გადაზიდვასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ნებართვის მიღების აუცილებლობისგან:
 - (ა) საფოსტო გადაზიდვა, როგორც უნივერსალური მომსახურება;
 - (ბ) დაზიანებული ან დამტვრეული სატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა;
 - (გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებებში წარმოდგენილი ტვირთის გადაზიდვა, რომლის მაქსიმალური დატვირთვის მასა, მისაბმელების ჩათვლით, არ აღემატება 3,5 ტონას;
 - (დ) ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებებში იმ პირობით, რომ დაცული იქნება შემდეგი პირობები:
 - (i) გადატანილი ტვირთი წარმოადგენს საწარმოს საკუთრებას ან მის გაყიდვას, ყიდვას, გაქირავებას ან დაქირავებას, წარმოებას, ამოღებას, დამუშავებას ან შეკეთებას უზრუნველყოფს საწარმო;
 - (ii) მარშრუტის მიზანია ტვირთის გადაზიდვა საწარმოში ან საწარმოდან ან მათი გადაადგილება საწარმოს ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ მისი საკუთარი მოთხოვნებისათვის;
 - (iii) აღნიშნული სახის გადაზიდვებისთვის გამოყენებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს მართავს ეკიპაჟი, რომლებიც ეწვეიან საქმიანობას საწარმოს ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე;
 - (iv) ტვირთის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენს საწარმოს საკუთრებას, შესყიდულია მის მიერ განვადებით ან დაქირავებულია იმ პირობით, თუ ისინი აკმაყოფილებს ტვირთის საგზაო გადაზიდვის მიზნით მძღოლის გარეშე დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 18 იანვრის 2006/1/EC დირექტივით¹ გათვალისწინებულ პირობებს;
 - (v) აღნიშნული გადაზიდვა ატარებს მხოლოდ საწარმოს ზოგადი საქმიანობის დამხმარე ხასიათს.
 - (ე) სამედიცინო პროდუქტების, აპარატურის, აღჭურვილობისა და სხვა საგნების გადაზიდვა, რაც აუცილებელია გადაუდებელ პირობებში, განსაკუთრებით უბედურ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების გასაწევად.

პირველი ქვეპუნქტის დ(iv) პუნქტი არ გამოიყენება შემცვლელი სატრანსპორტო საშუალების სარგებლობის შემთხვევაში ჩვეულებრივ ექსპლუატაციაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების ხანმოკლე მწყობრიდან გამოსვლისას.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 33, 4.2.2006, გვ. 82.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები გავლენას არ მოახდენს იმ პირობებზე, რომელთა საფუძველზეც წევრი სახელმწიფო აძლევს უფლებამოსილებას მის მოქალაქეებს ჩაერთვნენ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობაში.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

1. 'სატრანსპორტო საშუალება' ნიშნავს ძრავიან სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც რეგისტრირებულია წევრ სახელმწიფოში, ან ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების შეწყვილებულ კომბინაციას, რომელიც რეგისტრირებულია მინიმუმ წევრ სახელმწიფოში და გამოიყენება ექსკლუზიურად ტვირთის გადასაზიდად.
2. 'საერთაშორისო გადაზიდვა' ნიშნავს:
 - (ა) სატრანსპორტო საშუალების მიერ გამგზავრების პუნქტიდან დანიშნულების პუნქტამდე განხორციელებულ რეისს, როდესაც აღნიშნული ორივე პუნქტი მდებარეობს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში, ტრანზიტით ან ტრანზიტის გარეშე ერთი ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოსა თუ მესამე ქვეყნის გავლით;
 - (ბ) წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში ან პირიქით სატრანსპორტო საშუალების მიერ განხორციელებულ რეისს, ტრანზიტით ან ტრანზიტის გარეშე, ერთი ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოსა თუ მესამე ქვეყნის გავლით;
 - (გ) მესამე ქვეყნებს შორის სატრანსპორტო საშუალების მიერ განხორციელებულ რეისს, ტრანზიტით, ერთ ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით; ან
 - (დ) (ა), (ბ) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებულ გადაზიდვასთან დაკავშირებულ რეისს.
3. 'მასპინძელი წევრი სახელმწიფო' ნიშნავს წევრ სახელმწიფოს, რომელშიც საქმიანობას ეწევა გადამზიდავი, გარდა გადამზიდავის დაფუძნების წევრი სახელმწიფოსა;
4. 'არარეზიდენტი გადამზიდავი' ნიშნავს გადამზიდავ საწარმოს, რომელიც საქმიანობას ეწევა წევრ სახელმწიფოში;
5. 'მძღოლი' ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას, მოკლე დროის განმავლობაშიც კი, ან რომლის გადაყვანაც ხდება სატრანსპორტო საშუალებაში ნაკისრი ვალდებულებების ნაწილის სახით, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს მართვის მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში;
6. 'კაბოტაჟური ოპერაციები' ნიშნავს ეროვნულ დონეზე გადაზიდვების განხორციელებას ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული

საფასურის გადახდის სანაცვლოდ, დროებით მასპინძელ წევრ სახელმწიფოში, წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად.

7. 'ევროპული გაერთიანების საგზაო სატრანსპორტო კანონმდებლობის სერიოზულ დარღვევად' ითვლება სამართალდარღვევა, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, (EC) №1071/2009 რეგლამენტის 6(1) და (2) მუხლების მიხედვით ან/და სამართალდარღვევა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დროებითი ან მუდმივი გამოთხოვა.

თავი II

საერთაშორისო გადაზიდვა

მუხლი 3

ზოგადი პრინციპები

საერთაშორისო გადაზიდვები სრულდება ევროპული გაერთიანების ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი წარმოადგენს მესამე ქვეყნის მოქალაქეს - მძღოლის მოწმობის საფუძველზე.

მუხლი 4

ევროპული გაერთიანების ლიცენზია

1. ევროპული გაერთიანების ლიცენზიას გასცემს წევრი სახელმწიფო, წინამდებარე რეგლამენტის თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ სამუშაოზე აყვანილი ტვირთის გადამზიდავის სახელზე, რომელიც:
 - (ა) დაფუძნებულია წევრ სახელმწიფოში ევროპული გაერთიანების კანონმდებლობისა და აღნიშნული წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად;
 - (ბ) გააჩნია უფლებამოსილება დაფუძნების წევრ სახელმწიფოში ევროპული გაერთიანების კანონმდებლობისა და აღნიშნული წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად საგზაო გადამზიდავი ოპერატორის დაშვებასთან დაკავშირებით, რათა სისრულეში მოიყვანოს ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა.
2. ევროპული გაერთიანების ლიცენზია გაიცემა წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ 10 წლამდე ვადით, მისი გაგრძელების უფლებით.

ევროპული გაერთიანების ლიცენზია, ასევე ლიცენზიის დამოწმებული ასლი, რომელიც გაიცემა წინამდებარე რეგლამენტის კანონიერ ძალაში შესვლის თარიღამდე, ძალაშია მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

კომისია უზრუნველყოფს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ადაპტირებას ტექნიკურ პროგრესთან, კერძოდ სატრანსპორტო კომპანიების სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრთან, რაც გათვალისწინებულია (C) №1071/2009 რეგლამენტის მე-16 მუხლით. აღნიშნული ზომები შემუშავებულია წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე ელემენტებში ცვლილებების განსახორციელებლად და მიიღება 15(2) მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

3. იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ადგილს, გასცემენ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დედანს, ასევე ლიცენზიის დამოწმებულ ასლებს იმ სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელის საკუთრებაში, საკუთრების ან სხვა უფლების საფუძველზე, კერძოდ, შეძენილია განვადებით, ქირით ან საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ევროპული გაერთიანების ლიცენზია, ასევე ლიცენზიის დამოწმებული ეგზემპლარები უნდა შეესაბამებოდეს II დანართში წარმოდგენილ ნიმუშს, სადაც ასევე წარმოდგენილია მის გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები, ისინი ასევე უნდა მოიცავდეს I დანართში მითითებულ უსაფრთხოების მინიმუმ ორ ნიშანს.

ევროკომისია უზრუნველყოფს I და II დანართების ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული ზომები, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენს წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე დებულებების სრულყოფა, მიიღება საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, 15(2) მუხლში წარმოდგენილი მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

5. ევროპული გაერთიანების ლიცენზიაზე, ასევე მის დამოწმებულ ასლებზე მითითებული უნდა იყოს გამცემი ორგანოს ბეჭედი, ხელმოწერა და სერიული ნომერი. ევროპული გაერთიანების ლიცენზიებისა და მათი დამოწმებული ასლების სერიული ნომრები აღრიცხულ უნდა იქნას ავტოსატრანსპორტო კომპანიების ეროვნულ ელექტრონულ რეესტრში, როგორც გადამზიდავის შესახებ ინფორმაციის ნაწილი.

6. ევროპული გაერთიანების ლიცენზია გაიცემა გადამზიდავის სახელზე და არ ექვემდებარება მის შემდგომ გადაცემას. ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დამოწმებული ასლი უნდა ინახებოდეს ყოველი გადამზიდავის სატრანსპორტო საშუალებაში და უნდა წარედგინოს შესაბამის საინსპექციო ოფიცერს, მისი მოთხოვნისთანავე.

სატრანსპორტო საშუალებების შეწყვილებული კომბინაციის შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებას თან უნდა ახლდეს ლიცენზიის დამოწმებული ასლი. იგი უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებების შეწყვილებულ კომბინაციას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისაბმელი ან ნახევრადმისაბმელი არ იქნება რეგისტრირებული ან სანქცირებული გზებზე

გამოსაყენებლად ლიცენზიის მფლობელის სახელით ან როდესაც იგი რეგისტრირებული ან სანქცირებულია გამოსაყენებლად სხვა სახელმწიფოს გზებზე.

მუხლი 5

მძღოლების მოწმობა

1. მძღოლის მოწმობას გასცემს წევრი სახელმწიფო წინამდებარე რეგლამენტის თანახმად იმ ნებისმიერი გადამზიდავის მიმართ, რომელიც:
 - (ა) წარმოადგენს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელს;
 - (ბ) აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში კანონის დაცვით იყვანს მძღოლს, რომელიც არ წარმოადგენს არც წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს და არც მის გრძელვადიან რეზიდენტ პირს, მესამე ქვეყნების მოქალაქეების სტატუსის, რომლებიც წარმოადგენენ გრძელვადიან რეზიდენტ პირებს, შესახებ ევროსაბჭოს 2003 წლის 25 ნოემბრის 2003/109/EC¹ დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში; ან კანონის დაცვით იყენებს იმ მძღოლის შრომას, რომელიც არ წარმოადგენს წევრი სახელმწიფოს არც მოქალაქეს და არც გრძელვადიან რეზიდენტ პირს აღნიშნული დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში და რომელიც წარმოდგენილია გადამზიდავის განკარგულებაში აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში მოქმედი შრომითი და პროფესიული გადამზადების პირობების დაცვით:
 - (i) კანონით, რეგულაციებითა და ადმინისტრაციული წესების თანახმად, არსებული ვითარებიდან გამომდინარე;
 - (ii) კოლექტიური შეთანხმებების საფუძველზე, აღნიშნულ წევრ ქვეყანაში მოქმედი წესების დაცვით.
2. მძღოლის მოწმობა გაიცემა გადამზიდავის დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნით, ყოველ მძღოლთან დაკავშირებით, რომელიც არ წარმოადგენს არც წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს და არც გრძელვადიან რეზიდენტ პირს 2003/109/EC დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში, და რომელიც აღნიშნულ გადამზიდავს აყვანილი ჰყავს სამსახურში კანონიერად და რომელიც წარმოდგენილია გადამზიდავის განკარგულებაში. ყოველი მძღოლის მოწმობა უნდა ადასტურებდეს, რომ მასში მითითებული მძღოლი ეწევა საქმიანობას პირველ პუნქტში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
3. მძღოლის მოწმობა უნდა შეესაბამებოდეს III დანართით გათვალისწინებულ ნიმუშს. იგი უნდა ითვალისწინებდეს I დანართში მოყვანილ მინიმუმ ორ დამცავ ნიშანს.
4. ევროკომისია უზრუნველყოფს III დანართის ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული ზომები, რომელთა დანიშნულებაც არის

¹ ოფიციალური ჟურნალი L 16, 23.1.2004, გვ. 44.

წინამდებარე რეგლამენტის არსებითი მნიშვნელობის არმქონე დებულებების სრულყოფა, მიიღება საფუძველიანი ანალიზის შემდეგ, 15(2) მუხლში წარმოდგენილი მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

5. მძღოლის მოწმობაზე, ასევე მის დამოწმებულ ასლებზე მითითებული უნდა იყოს გამცემი ორგანოს ბეჭედი, ხელმოწერა და სერიული ნომერი. მძღოლის მოწმობის სერიული ნომრები აღრიცხულ უნდა იქნას ავტოსატრანსპორტო კომპანიების ეროვნულ ელექტრონულ რეესტრში, როგორც იმ გადამზიდავის შესახებ ინფორმაციის ნაწილი, რომელიც გადასცემს მას მოწმობაში მითითებულ მძღოლს.
6. მძღოლის მოწმობა ეკუთვნის გადამზიდავს, რომელი გადასცემს მას მასში მითითებულ მძღოლს, როდესაც აღნიშნული მძღოლი მართავს გადამზიდავის მიმართ გაცემული ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გამოყენებით სატრანსპორტო საშუალებას. გადამზიდავის დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული მძღოლის მოწმობის დამოწმებული ასლები უნდა ინახებოდეს გადამზიდავის შენობაში. მძღოლის მოწმობა წარმოდგენილი უნდა იქნას ნებისმიერი საინსპექციო ოფიცრის მოთხოვნისთანავე.
7. მძღოლის მოწმობა გაიცემა წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ვადით, თუმცა მისი მაქსიმალური მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელიწადს. წინამდებარე რეგლამენტის მიღების თარიღამდე გაცემული მძღოლის მოწმობები რჩება კანონიერ ძალაში მათი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

მძღოლის მოწმობა ძალაშია მხოლოდ იმ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელთა საფუძველზეც მოხდა მისი გაცემა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობები აღარ სრულდება, გადამზიდავი დაუბრუნებს მოწმობას დაუყოვნებლივ მის გამცემ ორგანოებს.

მუხლი 6

პირობების შემოწმება

1. 4(2) მუხლის თანახმად ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით ან ევროპული გაერთიანების ლიცენზიის განახლებასთან დაკავშირებით განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, გადამზიდავის დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები შეამოწმებენ აკმაყოფილებს თუ არა გადამზიდავი 4(1) მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.
2. გადამზიდავის დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები რეგულარულად შეამოწმებენ ყოველწლიურად აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში გაცემული მოქმედი მძღოლის მოწმობების მინიმუმ 20%-ს, სრულდება თუ არა 5(1) მუხლით გათვალისწინებული პირობები, რომელთა საფუძველზეც მოხდა აღნიშნული მძღოლის მოწმობის გაცემა.

*მუხლი 7***ევროპული გაერთიანების ლიცენზიის და მძღოლის მოწმობის გაცემის უარყოფა და გამოთხოვა**

1. 4(1) მუხლით ან 5(1) მუხლით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები უარს განაცხადებენ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გაცემასთან ან განახლებასთან დაკავშირებულ განაცხადებზე ან მძღოლის მოწმობის გაცემაზე, დასაბუთებული გადაწყვეტილების წარდგენის გზით.
2. კომპეტენტური ორგანო გამოითხოვს ევროპული გაერთიანების ლიცენზიას ან მძღოლის მოწმობას იმ შემთხვევაში, თუ მისი მფლობელი:
 - (ა) ვედარ აკმაყოფილებს 4(1) მუხლით ან 5(1) მუხლით გათვალისწინებული პირობებს; ან
 - (ბ) მიუთითებს არასწორ ინფორმაციას ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ან მძღოლის ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ განაცხადში.

თავი III

კაბოტაჟი

*მუხლი 8***ზოგადი პრინციპი**

1. ნებისმიერი გადამზიდავი, იმის მიუხედავად აყვანილი იქნება ხელშეკრულებით ან დროებითი გასამრჯელოს საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელს, ან რომლის მძღოლი, იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, ფლობს მძღოლის მოწმობას, უფლებამოსილი იქნება, წინამდებარე თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით, სისრულეში მოიყვანოს კაბოტაჟური ოპერაციები.
2. შემომავალი საერთაშორისო გადაზიდვების პროცესში გადატანილი ტვირთის მიწოდებისას, პირველ პუნქტში გათვალისწინებულ გადამზიდავებს უფლება ექნებათ სისრულეში მოიყვანონ იგივე სატრანსპორტო საშუალებით, ან შეწყვილებული კომბინაციის შემთხვევაში, იგივე სატრანსპორტო საშუალების ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებით, სამამდე კაბოტაჟური ოპერაცია სხვა წევრი სახელმწიფოდან ან მესამე ქვეყნიდან მასპინძელ წევრ სახელმწიფოში საერთაშორისო გადაზიდვასთან დაკავშირებით. მასპინძელი სახელმწიფოს დატოვებამდე კაბოტაჟური ოპერაციისას ბოლო გადმოტვირთვა სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი მასპინძელ წევრ სახელმწიფოში შემომავალი საერთაშორისო გადაზიდვის პროცესში ბოლო გადმოტვირთვიდან 7 დღის განმავლობაში.

პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, გადამზიდავებს შეუძლიათ სისრულეში მოიყვანონ აღნიშნული ქვეპუნქტის საფუძველზე ნებისმიერი წევრ სახელმწიფოში ნებადართული ზოგიერთი ან ყველა კაბოტაჟური ოპერაცია იმ პირობით, რომ ისინი შემოიფარგლება ერთი კაბოტაჟური ოპერაციით ყოველ წევრ სახელმწიფოზე, აღნიშნულ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტვირთის შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

3. მასპინძელ წევრ სახელმწიფოში არარეზიდენტი გადამზიდავების მიერ გახორციელებული ეროვნული საგზაო გადაზიდვების მომსახურება ჩაითვლება, რომ აკმაყოფილებს წინამდებარე რეგლამენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავს შეუძლია წარმოადგინოს შემომავალი საერთაშორისო გადაზიდვისა და ყოველი თანმიმდევრულად განხორციელებული კაბოტაჟური ოპერაციის მტკიცებულება.

პირველ ქვეპუნქტში გათვალისწინებული მტკიცებულება ითვალისწინებს შემდეგ დეტალებს ყოველ ოპერაციასთან დაკავშირებით.

- (ა) გამგზავნის სახელი, მისამართი და ხელმოწერა;
 - (ბ) გადამზიდავის სახელი, მისამართი და ხელმოწერა;
 - (გ) ტვირთმიმღების სახელი და მისამართი, ასევე მისი ხელმოწერა და ტვირთის მიწოდების თარიღი;
 - (დ) ტვირთის გადაცემის ადგილი და თარიღი და ტვირთის ჩაბარებისთვის განსაზღვრული ადგილი;
 - (ე) ტვირთის ზოგადი აღწერილობა და შეფუთვის მეთოდი, ხოლო სახიფათო ტვირთის შემთხვევაში, მათი საყოველთაოდ აღიარებული აღწერილობა, ასევე შეფუთვის რაოდენობა და მათი სპეციალური ნიშნები და ნომრები;
 - (ვ) ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელის სანომრე ნიშნები.
4. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით არ არის აუცილებელი რაიმე დამატებითი დოკუმენტის წარდგენა.
5. ნებისმიერ გადამზიდავს, რომელსაც მისი დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კანონდებლობით მინიჭებული აქვს აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში გადაზიდვების ოპერაციების შესრულების უფლება 15(ა), (ბ) და (გ) მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულებით აყვანის ან გასამრჯელობოს გადახდის საფუძველზე, მიეცემათ ნება წინამდებარე თავით გათვალისწინებულ პირობებში სისრულეში მოიყვანონ იგივე სახის კაბოტაჟური ოპერაციები ან კაბოტაჟური ოპერაციები იგივე კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით.
6. კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელების ნებართვა არ იზღუდება 1(5)(დ) და (ე) მუხლით გათვალისწინებული გადაზიდვების ტიპების ფარგლებში.

*მუხლი 9***კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელების წესები**

1. კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელება, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ევროპული გაერთიანების კანონმდებლობით, რეგულირდება მასპინძელ წევრ სახელმწიფოებში მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული ნორმების თანახმად, შემდეგთან მიმართებაში:
 - (ა) სატრანსპორტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მარეგულირებელი პირობები;
 - (ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაბარიტები;
 - (გ) ტვირთის გარკვეული კატეგორიების, კერძოდ, სახიფათო ტვირთების, მალფუჭებადი პროდუქტისა და ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
 - (დ) მართვის და დასვენების დრო;
 - (ე) სატრანსპორტო მომსახურებაზე დაწესებული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ).

პირველი ქვეპუნქტის (ბ) პუნქტში მითითებული გაბარიტები, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი აღემატებოდეს წევრ სახელმწიფოში, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ადგილს, განსაზღვრულ ფარგლებს, მაგრამ მითითებული გაბარიტები არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს მასპინძელ წევრ სახელმწიფოში საგზაო მოძრაობისთვის განსაზღვრულ მაჩვენებლებს ან ტექნიკურ მახასიათებლებს, ევროპული გაერთიანების ფარგლებში მოძრავ გარკვეულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით ეროვნულ და საერთაშორისო გადაზიდვისთვის ნებადართული მაქსიმალური ზომების განსაზღვრისა და საერთაშორისო მოძრაობისთვის ნებადართული მაქსიმალური წონის შესახებ ევროსაბჭოს 1996 წლის 25 ივლისის 96/53/EU დირექტივის 6(1) მუხლის¹ თანახმად.

2. ეთნიკური ნიშნით ან დაფუძნების ადგილის მიხედვით დისკრიმინაციის პრევენციის მიზნით, პირველ პუნქტში მითითებული საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული ნორმები ისევე ვრცელდება არარეზიდენტ გადამზიდავებზე, როგორც მასპინძელი წევრ სახელმწიფოში დაფუძნებულ რეზიდენტ გადამზიდავებზე.

*მუხლი 10***უსაფრთხოების დაცვის პროცედურები**

1. მოცემულ გეოგრაფიულ არეალში კაბოტაჟის მიზეზით ეროვნული სატრანსპორტო საბაზრო პირობების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ წევრ

¹ ოფიციალური ჟურნალი, L 235, 17.9.1996, გვ. 59

სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს კომისიას უსაფრთხოების დაცვის პროცედურების მიღების მიზნით და წარუდგინოს მას აუცილებელი ინფორმაცია და შეატყობინოს იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღებასაც იგი აპირებს რეზიდენტ გადამზიდავებთან დაკავშირებით.

2. პირველი პუნქტის მიზნებისთვის:

‘მოცემულ გეოგრაფიულ არეალში ეროვნული სატრანსპორტო საბაზრო პირობების სერიოზული დარღვევა’ ნიშნავს ბაზართან დაკავშირებით მისთვის დამახასიათებელი პრობლემების არსებობას, როდესაც ადგილი აქვს მიწოდების გადაჭარბებას მოთხოვნაზე, რაც საფრთხის წინაშე აყენებს ფინანსურ სტაბილურობას და გადამზიდავთა დიდი წილის ქმედუნარიანობას.

‘გეოგრაფიული არეალი’ ნიშნავს არეალს, რომელიც ფარავს წევრ სახელმწიფოს სრულად ან ნაწილობრივ ან რომელიც ვრცელდება სხვა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე სრულად ან ნაწილობრივ.

3. კომისია განიხილავს სიტუაციას შესაბამისი მონაცემების საფუძველზე და 15(1) მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, მიიღებს გადაწყვეტილებას წევრი სახელმწიფოს მოთხოვნის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში იმასთან დაკავშირებით, აუცილებელია თუ არა უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების მიღება და დაამტკიცებს მათ საჭიროების შემთხვევაში.

აღნიშნული ღონისძიებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს წინამდებარე რეგლამენტის მოქმედებიდან მითითებული არეალის დროებით გათავისუფლებას.

წინამდებარე მუხლის თანახმად მიღებული ღონისძიებები რჩება ძალაში არაუმეტეს 6 თვისა, რომლის განახლებაც შესაძლებელია ერთხელ, მოქმედების იგივე ვადით.

4. იმ შემთხვევაში, თუ კომისია გადაწყვეტს უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების მიღებას ერთ ან ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, შესაბამისი წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს მოეთხოვებათ მიმართონ ეკვივალენტურ ზომებს რეზიდენტ გადამზიდავებთან დაკავშირებით და შეატყობინონ კომისიას აღნიშნულის შესახებ. ზემოაღნიშნული ღონისძიებების მიღება დაიწყება არაუგვიანეს იმ დღიდან, როდესაც კომისიას დაამტკიცებს მათ.

5. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მიაწოდოს საბჭოს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მე-3 პუნქტის თანახმად, მისი შეტყობინებიდან 30 დღის განმავლობაში. საბჭოს, რომელიც მოქმედებს კვალიფიციური უმრავლესობის სახით, შეუძლია მიმართვიდან, ან თუ არსებობს რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მიმართვა, პირველი მიმართვიდან 30 დღის განმავლობაში, მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება.

მე-3 პუნქტის მესამე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის შეზღუდვა მოქმედებს საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. შესაბამისი წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს მოეთხოვებათ მიმართონ ეკვივალენტურ ზომებს რეზიდენტ გადამზიდავებთან დაკავშირებით და შეატყობინონ კომისიას აღნიშნულის

შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვლება საბოლოოდ.

6. იმ შემთხვევაში, თუ კომისია ჩათვლის, რომ მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები საჭიროებს გაგრძელებას, მან უნდა წარუდგინოს წინადადება საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას კვალიფიციური უმრავლესობით.

მუხლი 11

ურთიერთდახმარება

წევრი სახელმწიფოები გაუწევენ ერთმანეთს დახმარებას, წინამდებარე რეგლამენტის შესრულების კონტროლის და სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. ისინი მოახდენენ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას (EU) 1071/2009 რეგლამენტის მე-18 მუხლის თანახმად გაფორმებული ეროვნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების მეშვეობით.

მუხლი 12

სამართალდარღვევისთვის დაწესებული სანქციები, რომლებიც გამოიყენება იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, სადაც დაფუძნებულია გადამზიდავი

1. წევრ სახელმწიფოში საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის სერიოზული დარღვევის ან დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩამდენი გადამზიდავის დაფუძნების ადგილს, მიმართავენ სათანადო ზომებს, რომლებიც, თუ სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით, ითვალისწინებს გაფრთხილებას საქმის სასამართლოში გადაცემის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შემდეგი სახის ადმინისტრაციული სანქციების დაწესება:
 - (ა) ევროპული გაერთიანების ლიცენზიების ცალკეული ან ყველა დამოწმებული ეგზემპლარის გამოთხოვა;
 - (ბ) ევროპული გაერთიანების ლიცენზიების დროებითი ან მუდმივი გამოთხოვა.

აღნიშნული სანქციები შესაძლოა განსაზღვრულ იქნას საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ, ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის სერიოზულობის, ასევე საერთაშორისო საგზაო მოძრაობასთან მიმართებაში აღნიშნული ლიცენზიის დამოწმებული ეგზემპლარების რაოდენობის გათვალისწინებით.
2. მძღოლის მოწმობით ბოროტად სარგებლობით გამოწვეული სერიოზული სამართალდარღვევის შემთხვევაში, იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური

ორგანოები, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩამდენი გადამზიდავის დაფუძნების ადგილს, განსაზღვრავენ შესაბამის სანქციებს, როგორცაა:

- (ა) მძღოლის მოწმობების გაცემის შეჩერება;
- (ბ) მძღოლის მოწმობების გამოთხოვა;
- (გ) მძღოლის მოწმობის საკითხის დამატებით პირობებზე დაქვემდებარება, ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით;
- (დ) ევროპული გაერთიანების ლიცენზიების ზოგიერთი ან ყოველი დამოწმებული ასლის დროებით ან სამუდამოდ გამოთხოვა;
- (ე) ევროპული გაერთიანების ლიცენზიის დროებით ან სამუდამოდ გამოთხოვა.

აღნიშნული სანქციების შესაძლოა განსაზღვრულ იქნას საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ, ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის სერიოზულობის გათვალისწინებით.

3. იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ადგილს, მაქსიმალურად მოკლე ვადებში, მაგრამ საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანის მომენტიდან არაუგვიანეს 6 კვირისა, აცნობებს იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილს, პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სანქციების დაწესების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სანქციები არ იქნება დაწესებული, იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, რომელიც წარმოადგენს გადამზიდავის დაფუძნების ადგილს, დაასაბუთებენ მიღებულ გადაწყვეტილებას.

4. კომპეტენტური ორგანოები იძლევიან გარანტიას, რომ გადამზიდავის მიმართ სანქციების გამოყენება წარმოადგენს სამართალდარღვევის ან სამართალდარღვევების პროპორციულ ქმედებას და ითვალისწინებს ანალოგიურ სამართალდარღვევაზე იმ წევრ სახელმწიფოში დაწესებული სანქციების გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილს.
5. გადამზიდავის დაფუძნების წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, წარადგინონ სარჩელი გადამზიდავის წინააღმდეგ ნებისმიერ კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოსა თუ ტრიბუნალში. ისინი აცნობებენ მასპინძელი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ.
6. წინამდებარე მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ გადამყვანებს ადმინისტრაციული სანქციის დაწესების შესახებ განაჩენის გასაჩივრების უფლებას.

*მუხლი 13***მასპინძელი წევრი სახელმწიფოს მიერ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დაწესებული სანქციები**

1. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ფლობენ ინფორმაციას, რომ არარეზიდენტი გადამზიდავი მნიშვნელოვნად არღვევს წინამდებარე რეგლამენტს ან საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობას, ის წევრი სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილს, მაქსიმალურად მოკლედ დროში, მაგრამ საქმეზე განაჩენის გამოტანის მომენტიდან არაუგვიანეს 6 კვირისა, წარუდგენს გადამზიდავის დაფუძნების წევრ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შემდეგ ინფორმაციას:

(ა) სამართალდარღვევის აღწერა, ასევე მისი ჩადენის თარიღი და დრო;

(ბ) სამართალდარღვევის კატეგორია, სახეობა და სიმძიმე; და

(გ) დაწესებული და შესრულებული სანქციები.

მასპინძელი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს მოსთხოვოს გადამზიდავის დაფუძნების წევრ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ადმინისტრაციული სანქციების დაწესება 22-ე მუხლის თანახმად.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის შეზღუდვის გარეშე, მასპინძელი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები განსაზღვრავენ სანქციებს არარეზიდენტი გადამზიდავების მიმართ, რომელთაც დაარღვიეს წინამდებარე რეგლამენტი ან საგზაო ტრანსპორტის შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობა, მათ ტერიტორიაზე კაბოტაჟური ოპერაციების განხორციელების დროს. სანქციები არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს და შემოიფარგლება გაფრთხილებებით, ხოლო სერიოზული სამართალდარღვევის შემთხვევაში, დროებით კრძალავს კაბოტაჟურ ოპერაციებს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს სამართალდარღვევის აღმოჩენის ადგილს.

3. წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ გადამზიდავებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე დაწესებული სანქციის გასაჩივრების უფლებას, წინამდებარე მუხლის შესაბამისად.

*მუხლი 14***მონაცემების სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში შეტანა**

წევრი სახელმწიფოები აღრიცხავენ სატრანსპორტო დაწესებულებების ეროვნულ ელექტრონულ რეესტრში საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევების შესახებ მონაცემებს მათ ტერიტორიაზე დაფუძნებული გადამზიდავების მიერ, რაც ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოს მიერ სანქციების დაწესებას, ასევე ევროპული გაერთიანების

ლიცენზიის ან მისი დამოწმებული ასლების დროებითი ან მუდმივი გამოთხოვის შესახებ ინფორმაციას. ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მუდმივი ან დროებითი გამოთხოვის შესახებ მონაცემები ინახება მონაცემთა ბაზაში გამოთხოვის პერიოდის ამოწურვიდან - ლიცენზიის დროებითი გამოთხოვის შემთხვევაში ან გამოთხოვის თარიღიდან, მუდმივი გამოთხოვის შემთხვევაში, არანაკლებ 2 წლის განმავლობაში.

თავი V

შესრულება

მუხლი 15

კომიტეტის პროცედურა

1. კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი, რომელიც ჩამოყალიბებულია (EEC) №3821/85 რეგლამენტის 18(1) მუხლის თანახმად.
2. წინამდებარე პუნქტზე მითითების შემთხვევაში, გამოიყენება 5ა(1)-(4) და 5(ბ) მუხლი და 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-7 მუხლი, წინამდებარე დირექტივის მე-8 მუხლის პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 16

სანქციები

წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ წესებს იმ სანქციებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენება ხდება წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის შემთხვევაში, და მიმართავენ აუცილებელ ზომებს სანქციების სისრულეში მოყვანის უზრუნველყოფის მიზნით. წარმოდგენილი სანქციები უნდა ატარებდეს ეფექტურ, პროპორციულ და პრევენციულ ხასიათს. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან აცნობონ ევროკომისიას აღნიშნული დებულებების შესახებ 2011 წლის 4 დეკემბრამდე, ასევე დაუყონებლივ შეატყობინონ მას მოცემულ დებულებებში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შესახებ.

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამგვარი ზომების მიღებას ეთნიკური ნიშნით და გადამყვანის დაფუძნების ადგილთან დაკავშირებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 17

ანგარიშგება

1. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ წევრი სახელმწიფოები მიაწვდიან ევროკომისიას ინფორმაციას ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მფლობელი გადამზიდავების რაოდენობის შესახებ, წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღისთვის მოძრავი სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი დამოწმებული ასლების რაოდენობის შესახებ.

2. წევრი სახელმწიფოები აგრეთვე მიაწვდიან ინფორმაციას კომისიას წინა კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული მძღოლის მოწმობების რაოდენობის, ასევე იგივე წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმოქცევაში მყოფი მძღოლის მოწმობების რაოდენობის შესახებ.
3. კომისია შეადგენს ანგარიშს 2013 წლის დასასრულისთვის ევროპული გაერთიანების საგზაო სატრანსპორტო ბაზრის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში გათვალისწინებული იქნება საბაზრო სიტუაციის ანალიზი, პროფესიით დასაქმების პირობების კონტროლის ეფექტიანობისა და ევოლუციის ჩათვლით, ასევე იმ ფაქტის შეფასება, მოხდა თუ არა აღნიშნულ სფეროებში მოქმედი წესების, მათ შორის კანონიერ ძალაში შესვლისა და მომხმარებლებზე საგზაო საფასურების განსაზღვრის წესებისა და სოციალური და უსაფრთხოების დაცვის კანონმდებლობის ჰარმონიზება იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შიდა საგზაო სატრანსპორტო ბაზრების გასახსნელად, კაბოტაჟის ჩათვლით.

თავი VI

დასკვნითი დებულებები

მუხლი 18

გაუქმება

წინამდებარე დოკუმენტით უქმდება (EEC) №881/92 რეგლამენტი, (EC) №3118/93 რეგლამენტი და 2006/94/EC დირექტივა.

გაუქმებულ რეგლამენტებსა და დირექტივაზე მითითება განიმარტება, როგორც წინამდებარე რეგლამენტზე მითითება და უნდა იკითხებოდეს IV დანართში წარმოდგენილი საკორელაციო ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 19

კანონიერ ძალაში შესვლა

წინამდებარე რეგლამენტი კანონიერ ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან მე-20 დღეს.

წინამდებარე რეგლამენტის გამოყენება იწყება 2011 წლის 4 დეკემბრიდან, გარდა მე-8 და მე-9 მუხლებისა, რომელიც კანონიერ ძალაში შევა 2010 წლის 14 მაისიდან.

წინამდებარე რეგლამენტი სავალდებულოა სრული მოცულობით და უშუალოდ მოქმედებს ყოველი წევრი სახელმწიფოს მიმართ.

შედგენილია 2009 წლის 21 ოქტომბერს, სტრასბურგში.

ევროპარლამენტის სახელით
პრეზიდენტი
ჟ. ბუზევი

საბჭოს სახელით
პრეზიდენტი
ს. მალმსტრომი

*დანართი 1***ევროპული გაერთიანების ლიცენზიისა და მძღოლის მოწმობის დაცვის საშუალებები**

ევროპული გაერთიანების ლიცენზია და მძღოლის მოწმობა უნდა ითვალისწინებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი დაცვის საშუალებებიდან მინიმუმ ორს:

- ჰოლოგრამა,
 - ქალაქის სპეციალური ბოჭკოები, რომელთა დანახვაც შესაძლებელია ულტრაიისფერი სხივების მოქმედებისას,
 - მინიმუმ ერთი მიკრომინიატურული ნაბეჭდი ზოლი (რომელიც ჩანს მხოლოდ გამადიდებელი მინის მეშვეობით და არ ექვემდებარება გამოსახვას ასლგადამღებ მოწყობილობაზე გადაღებისას),
 - ტექტილური ნიშნები, სიმბოლოები და ნახატები,
 - ორმაგი ნუმერაცია: ევროპული გაერთიანების ლიცენზიის, მისი დამოწმებული ასლის ან მძღოლის მოწმობის სერიული ნომერი, და, ნებისმიერ შემთხვევაში, გაცემის ნომერი;
 - დამცავი ფონი, წვრილი გილიოშირებული ნახატით და ირისის ბეჭდით.
-

დანართი II

ნიმუში

ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ნიმუში

ევროპული გაერთიანება

(ა) (ღია პანტონი ცისფერი, DIN A4 ქაღალდის ფორმატი, ცელულოზის ქაღალდის სისქე არანაკლებ 100 გრ/მ² ან მეტი)

(ლიცენზიის პირველი გვერდი)

(ტექსტი წარმოდგენილია ოფიციალურ ენაზე (ენებზე) ან ლიცენზიის გამცემი წევრი სახელმწიფოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე)

ლიცენზიის გამცემი წევრი სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი¹

უფლებამოსილი პირის ან ორგანოს სახელი

ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელების

ლიცენზია N ...

(ან)

დამოწმებული ასლი N

წინამდებარე ლიცენზიის მფლობელს²

უფლება აქვს განახორციელოს ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა, ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ევროპული გაერთიანების ქვეყნების ტერიტორიაზე, სატვირთო გადაზიდვების საერთაშორისო ბაზარზე დაშვების ზოგადი წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1072/2009 რეგლამენტში ჩამოყალიბებული პირობების და წინამდებარე ლიცენზიის ძირითადი დებულებების თანახმად.

შენიშვნა:

ლიცენზია ძალაშია დან

გაცემულია წლის

.....³

¹ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების განმასხვავებელი ნიშნები: (B) ბელგია, (BG) ბულგარეთი, (CZ) ჩეხეთის რესპუბლიკა, (DK) დანია, (D) გერმანია, (EST) ესტონეთი, (IRL) ირლანდია, (GR) საბერძნეთი, (E) ესპანეთი, (F) საფრანგეთი, (I) იტალია, (CY) კვიპროსი, (LV) ლატვია, (LT) ლიტვა, (L) ლუქსემბურგი, (H) უნგრეთი, (MT) მალტა, (NL) ნიდერლანდები, (A) ავსტრია, (PL) პოლონეთი, (P) პორტუგალია, (RO) რუმინეთი, (SLO) სლოვენია, (SK) სლოვაკეთი, (FIN) ფინეთი, (S) შვედეთი, (UK) დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო.

² გადამზიდავის სრული სახელი ან დასახელება და სრული მისამართი.

³ ლიცენზიის გამცემი კომპეტენტური პირის ან ორგანოს ხელმოწერა და ბეჭედი.

(ბ)

(ლიცენზიის მეორე გვერდი)

(ტექსტი წარმოდგენილია ლიცენზიის გამცემი წევრი სახელმწიფოს (ერთ-ერთ) ოფიციალურ ენაზე)

ძირითადი დებულებები

წინამდებარე ლიცენზია გაცემულია (EC) №1072/2009 რეგლამენტის თანახმად.

ის ანიჭებს მის მფლობელს უფლებამოსილებას უზრუნველყოს ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვა, ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ნებისმიერ რეისზე ან რეისის იმ ნაწილზე, რომელიც ხორციელდება ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს შემდეგ პირობებს:

- იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების მიერ ტვირთის გაგზავნის პუნქტი და მიღების პუნქტი მდებარეობს ორ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში, ტრანზიტით ან ტრანზიტის გარეშე ერთი ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოსა თუ მესამე ქვეყნის გავლით;
- წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში ან პირიქით, ტრანზიტით ან ტრანზიტის გარეშე, ერთი ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოსა თუ მესამე ქვეყნის გავლით;
- მესამე ქვეყნებს შორის, ტრანზიტით, ერთ ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით; ან

და აღნიშნულ გადაზიდვასთან დაკავშირებული რეისები.

წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და უკან ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში აღნიშნული ლიცენზია მოქმედებს რეისის მხოლოდ იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც გადის ევროპული გაერთიანების ტერიტორიის ფარგლებში. აღნიშნული ლიცენზია გამოიყენება იმ წევრ სახელმწიფოში, რომელიც წარმოადგენს ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილს, მხოლოდ ევროპულ გაერთიანებასა და მესამე ქვეყნებს შორის შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემდგომ (EC) №1072/2009 რეგლამენტის თანახმად.

წინამდებარე ლიცენზია წარმოადგენს პირად დოკუმენტს და არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას.

წინამდებარე ლიცენზია შესაძლებელია გამოთხოვილ იქნას მისი გამცემი წევრი სახელმწიფოს მიერ, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მფლობელი:

- ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით მოქმედ პირობებს;
- წარმოადგენს ლიცენზიის გაცემის და მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო მონაცემებს არასწორად.

ლიცენზიის ორიგინალი უნდა ინახებოდეს გადამზიდავ კომპანიასთან.

ლიცენზიის დამოწმებული ასლი უნდა ინახებოდეს სატრანსპორტო საშუალებაში.¹ სატრანსპორტო საშუალებების შეწყვილებული კომბინაციის შემთხვევაში, იგი თან უნდა ახლდეს ძრავიან სატრანსპორტო საშუალებას. იგი უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებების შეწყვილებულ კომბინაციას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისაბმელი ან ნახევრადმისაბმელი არ იქნება რეგისტრირებული ან სანქცირებული გზებზე გამოსაყენებლად ლიცენზიის მფლობელის სახელით ან როდესაც იგი რეგისტრირებული ან სანქცირებულია გამოსაყენებლად სხვა სახელმწიფოს გზებზე.

წინამდებარე ლიცენზია უნდა წარედგინოს ნებისმიერ მაკონტროლებელ პირს მისი მოთხოვნისამებრ.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ყოველი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიცვას სატრანსპორტო საშუალებასთან და მოძრაობასთან მიმართებით ამ სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული ნორმები.

¹ 'სატრანსპორტო საშუალება' ნიშნავს ძრავიან სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც რეგისტრირებულია წევრ სახელმწიფოში, ან ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების შეწყვილებულ კომბინაციას, რომელიც რეგისტრირებულია მინიმუმ წევრ სახელმწიფოში და გამოიყენება ექსკლუზიურად ტვირთის გადასაზიდად.

დანართი III
მძლლის მოწმობის ნიმუში
ევროპული გაერთიანება

(ა)

(ფერი პანტონი ვარდისფერი, DIN A4 ქაღალდის ფორმატი, ცელულოზის ქაღალდის სისქე არანაკლებ 100 გრ/მ² ან მეტი)
(მოწმობის პირველი გვერდი)
(ტექსტი წარმოდგენილია მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე)

მოწმობის გამცემი წევრი სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი¹

უფლებამოსილი პირის ან ორგანოს სახელი

ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავების გზით ან გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით

მძლლის მოწმობა N ...

(სატვირთო გადაზიდვების საერთაშორისო ბაზარზე დაშვების ზოგადი წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1072/2009 რეგლამენტი) წინამდებარე მოწმობა ადასტურებს, რომ შემდეგი ორგანოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად

.....²

ქვემოთ მითითებული მძლლი:

- სრული სახელი და გვარი
- დაბადების თარიღი და ადგილი მოქალაქეობა
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ტიპი და ნომერი
-
- გაცემის თარიღი გაცემის ადგილი
- მართვის მოწმობის ნომერი
- გაცემის თარიღი გაცემის ადგილი
- სოციალური დაზღვევის ნომერი

¹ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების განმასხვავებელი ნიშნები: (B) ბელგია, (BG) ბულგარეთი, (CZ) ჩეხეთის რესპუბლიკა, (DK) დანია, (D) გერმანია, (EST) ესტონეთი, (IRL) ირლანდია, (GR) საბერძნეთი, (E) ესპანეთი, (F) საფრანგეთი, (I) იტალია, (CY) კვიპროსი, (LV) ლატვია, (LT) ლიტვა, (L) ლუქსემბურგი, (H) უნგრეთი, (MT) მალტა, (NL) ნიდერლანდები, (A) ავსტრია, (PL) პოლონეთი, (P) პორტუგალია, (RO) რუმინეთი, (SLO) სლოვენია, (SK) სლოვაკეთი, (FIN) ფინეთი, (S) შვედეთი, (UK) დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო.

² გადაზიდვის სრული სახელი ან დასახელება და სრული მისამართი.

აყვანილია სამსახურში კანონდებლობის, დირექტივებისა და ადმინისტრაციული ნორმების დაცვით, ასევე შესაბამისობის შემთხვევაში, კოლექტიური შეთანხმებების თანახმად, დასაქმების პირობებისა და მძღოლთა პროფესიული გადამზადების პირობების შესახებ შემდეგ წევრ სახელმწიფოებში მოქმედი წესების შესაბამისად, რომელიც მოქმედებს მითითებულ სახელმწიფოში გადაზიდვების ოპერაციების განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს ფარგლებში:

.....¹

შენიშვნები

.....

მოწმობა ძალაშია- დან -მდე

გაცემულია წელს

.....²

¹ იმ წევრი სახელმწიფოს სახელი, სადაც დაფუძნებულია გადამზიდავი.

² გამცემი კომპეტენტური ორგანოს ხელმოწერა და ბეჭედი

(ბ)

(მოწმობის მეორე გვერდი)

(ტექსტი წარმოდგენილია ლიცენზიის გამცემი წევრი სახელმწიფოს (ერთ-ერთ) ოფიციალურ ენაზე)

ძირითადი დებულებები

წინამდებარე მოწმობა გაცემულია (EC) №1072/2009 რეგლამენტის თანახმად.

წინამდებარე დოკუმენტი ადასტურებს, რომ მასში მითითებული მძღოლი აყვანილია სამსახურში კანონდებლობის, დირექტივებისა და ადმინისტრაციული ნორმების დაცვით, ასევე შესაბამისობის შემთხვევაში, კოლექტიური შეთანხმებების თანახმად, დასაქმების პირობებისა და მძღოლთა პროფესიული გადამზადების პირობების შესახებ შემდეგ წევრ სახელმწიფოებში მოქმედი წესების შესაბამისად, რომელიც მოქმედებს მითითებულ სახელმწიფოში სატრანსპორტო ოპერაციების განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს ფარგლებში.

მძღოლის მოწმობა ეკუთვნის გადამზიდავს, რომელიც მას გადასცემს წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ მძღოლს მაშინ, როდესაც იგი ჩაერთვება აღნიშნულ გადამზიდავზე გაცემული ევროპული გაერთიანების ლიცენზიის გამოყენებით ტვირთის გადაზიდვის ოპერაციებში¹. მძღოლის მოწმობა არ ექვემდებარება მესამე პირის მიმართ გადაცემას. მძღოლის მოწმობა ძალაშია მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება ის პირობები, რომელთა საფუძველზეც მოხდა მისი გაცემა და დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს გადამზიდავის მიერ გამცემ ორგანოს, თუ აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება აღარ იქნება შესაძლებელია.

წინამდებარე მოწმობა შესაძლებელია გამოთხოვილ იქნას მისი გამცემი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მფლობელი:

- ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით მოქმედ პირობებს;
- წარმოადგენს მოწმობის გაცემის და მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო მონაცემებს არასწორად.

მოწმობის ორიგინალი უნდა ინახებოდეს გადამზიდავ კომპანიაში.

მოწმობის დამოწმებული ასლი უნდა ინახებოდეს სატრანსპორტო საშუალებაში და ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ყოველი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიცვას სატრანსპორტო საშუალებასთან და მოძრაობასთან მიმართებით ამ სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული და ადმინისტრაციული ნორმები.

¹ 'სატრანსპორტო საშუალება' ნიშნავს ძრავიან სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც რეგისტრირებულია წევრ სახელმწიფოში, ან ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეწყვილებულ კომბინაციას, რომელიც რეგისტრირებულია მინიმუმ წევრ სახელმწიფოში და გამოიყენება ექსკლუზიურად ტვირთის გადასაზიდად.

თავი IV
საკორელაციო ცხრილი

რეგლამენტი (EEC) №881/92	რეგლამენტი (EC) №3118/93	დირექტივა 2006/94/EC	წინამდებარე რეგლამენტი
მუხლი 1 (1)			მუხლი 1 (1)
მუხლი 1 (2)			მუხლი 1 (2)
მუხლი 1 (3)			მუხლი 1 (3)
დანართი II		მუხლი 1(1) და (2), დანართი I; მუხლი 2	მუხლი 1 (5)
		მუხლი 2	მუხლი 1 (6)
მუხლი 2			მუხლი 2
მუხლი 3 (1)			მუხლი 3
მუხლი 3 (2)			მუხლი 4 (1)
მუხლი 3 (3)			მუხლი 5 (1)
მუხლი 4			
მუხლი 5 (1)			მუხლი 4 (2)
მუხლი 5 (2)			მუხლი 4 (3)
მუხლი 5 (3)			მუხლი 4 (4)
			მუხლი 4 (5)
მუხლი 5 (4), დანართი I			მუხლი 4 (6)
მუხლი 5 (5)			მუხლი 4 (2)
მუხლი 6 (1)			მუხლი 5 (2)
მუხლი 6 (2)			მუხლი 5 (2)
მუხლი 6 (3)			მუხლი 5 (3)
მუხლი 6 (4)			მუხლი 5 (6)
მუხლი 6 (5)			მუხლი 5 (7)
მუხლი 7			მუხლი 6
მუხლი 8 (1)			მუხლი 7 (1)
მუხლი 8 (2)			მუხლი 7 (2)
მუხლი 8 (3)			მუხლი 12 (1)
მუხლი 8 (4)			მუხლი 12 (2)
მუხლი 9 (1) და (2)			მუხლი 12 (6)
	მუხლი 1 (1)		მუხლი 8 (1)
	მუხლი 1 (2)		მუხლი 8 (5)
	მუხლი 1 (3) და (4)		მუხლი 8 (6)
	მუხლი 2		
	მუხლი 3		
	მუხლი 4		
	მუხლი 6		
	მუხლი 6 (1)		მუხლი 9 (1)
	მუხლი 6 (2)		
	მუხლი 6 (3)		მუხლი 9 (2)
	მუხლი 6 (4)		
	მუხლი 7		მუხლი 10
მუხლი 10			მუხლი 17 (1)
მუხლი 11 (1)	მუხლი 8 (1)		მუხლი 11
მუხლი 11 (2)			მუხლი 13 (1)

რეგლამენტი (EEC) №881/92	რეგლამენტი (EC) №3118/93	დირექტივა 2006/94/EC	წინამდებარე რეგლამენტი
მუხლი 11 (3)			მუხლი 12 (4)
მუხლი 11 ა			
	მუხლი 8 (2) და (3)		მუხლი 13 (2)
	მუხლი 8 (4), პირველი და მესამე ქვეპუნქტები		
	მუხლი 8(4), მეორე ქვეპუნქტი		მუხლი 12 (4)
	მუხლი 8(4), მეოთხე და მეხუთე ქვეპუნქტები		მუხლი 12 (5)
	მუხლი 9		მუხლი 13 (3)
მუხლი 12			მუხლი 18
მუხლი 13			
მუხლი 14	მუხლი 10		
	მუხლი 11		
მუხლი 15	მუხლი 12	მუხლი 4	მუხლი 19
		მუხლი 3	
		მუხლი 5	
		დანართი II, III	
დანართი I			დანართი II
დანართი III			დანართი III
	დანართი I		
	დანართი II		
	დანართი III		
	დანართი IV		